




კახიბა

№ 2(8) 5 აპრილი 1990

ბათუმის სახალხო ფრონტი და რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაცია



საქართველოს რესპუბლიკური პარტიის

ბათუმის ორგანიზაციის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის დაარსებიდან, 1978 წლის მაისიდან, კონკრეტული პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა ჯგუფი ქ. ბათუმში. სრულყოფილად უზრუნველყო „სამშენებლო“ 1979 წ. პირველი და მეორე ნომრები მიზნად გახდა ცნობილი პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებული ბათუმელებისათვის.

1980 წლიდან, რესპუბლიკური პარტიით სსრკ-ის დაინტერესების შემდეგ, სრულ და შესაბამისად მისი ბათუმელი წევრების, არაღმარებელი ორგანიზაციების გადარჩენისათვის იბრძოდნენ. პარტიის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით პოლიტ პანაკეში გაგზავნისა (1983-87წ); და სხვა რეპრესიული ზომების მიუხედავად, პარტიის წევრთა უმრავლესობა სსრკ-ისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ეროვნული მოძრაობის ახალი, მასობრივი ეტაპის დაწყებისთანავე რესპუბლიკელები აქტიურად მოწოდებდნენ საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში; ამასთანავე, კმნიდნენ პარტიულ ჯგუფებს; რესპუბლიკელები და მათი თანამოაზრეების ღვაწლი ბათუმში არც თუ ისე ცოტაა. მათი ინიციატივით შეიქმნა ბათუმის სახალხო ფრონტი, რომლის ავტორიტეტი და პოლიტიკური წონა განსაზღვრავს ეროვნული მოძრაობის ღონეს ბათუმში. ანალოგიური სიტუაციაა საქართველოს რამდენიმე მნიშვნელოვან ქალაქში.

ამდამად რესპუბლიკური პარტია, შეესებოდა და შესაძლებელი გადკლიერებული კვლავ გამოდის საკუთარი სახელით. პარტიის ბათუმის ორგანიზაციის წევრები ნომინალურად მოახმარებენ თავიანთ ენერჯიას სახალხო ფრონტს, რომლის საქმიანობის გაგრძელება აუცილებელია. წმინდა პოლიტიკურ მუშაობას კი ისინი ვალდებულნი არიან რესპუბლიკური პარტიის შემადგენლობაში.

- დღეისათვის სრულ ბათუმის ორგანიზაციის წევრები არიან:
- თანაზ ართმელაძე-თევზაძის სამმართველოს ინჟინერი დავით ბერძენიშვილი - ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.
 - გიორგი გაბაშვილი - საბრძოლველ ბიუროს დირექტორი, არქიტექტორი.
 - დამიან-დვინაძე (თევზაძის) - ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.
 - ბაბრი თევზაძე - თოჯინების თეატრის ლიტნაწილის გამგე, პოეტი.
 - ტიმურ მანაღვიანი - ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.
 - ზურა ოქროპირიძე - ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.
 - გოდერძი ტუტოჩავა - გაზეთ „კახიბის“ რედაქტორი, პეტრა-ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდების მცველი.
 - თეიმურაზ ყურაშვილი - გენსახიანი არხის ინჟინერი.
 - ირაკლი ჩავლეიშვილი - პეტრა-ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი, არქეოლოგი.

გაზეთი გამოდის 1989 წლის I აგვისტოდან

ბათუმის სახალხო ფრონტისა და რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაციის ინიციატივით 28 მარტს შეიქმნა კლუბში ჩატარებული შეკრების მონაწილეთა მიმართული ლიტველი ხალხისადმი

მივსალმებით ვმირი ლიტველი ხალხის თავისუფლებას და ვგმობთ მოსკოვის ხელისუფალთა მცდელობას, უკანონოდ გამოაცხადონ მისი ისტორიული ნება, იყოს თავისუფალ და სუვერენულ ხალხთა ოჯახის ღირსეული წევრი.

ვუსურვებთ ლიტველ ხალხს წარმატებას თავისუფალი ლიტვის მშენებლობაში!

აჭარის გასაბჭოების ერთი ვერსიის გამო

1961 წლის მარტში, ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის შენობაში აღინიშნებოდა „აჭარის გასაბჭოების“ ორმოცი წლისთავი. ტრიბუნაზე იდგა აჭარის პირველი რევკომის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე და მოუხსრობდა გარინდულ დარბაზს იმ დღეების შესახებ. იმავე საღამოს, სალიბაძეში აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრების ვიწრო წრეში ს. ქავთარაძემ იგივე ამბავი საგრძნობი განსხვავებით მოგვიყვა. თუ ვაღიფთავებთ ალინაწინებთ, რომ 1961 წელს „დათბობის“ პროცესი ვერ მოხდა განუღებელი არ იყო და ბატონი სერგო ხელმძღვანელი პარტიული ანაბანების ვიწრო წრეში აღბათურ გულახდილი იქნებოდა. მეორედ მონათბობი ურო ახლო იქნებოდა სინანდელივსთან.

რადგან იმ პატარა საუბრო სუარის მონაწილეთა გან არც ისე ბევრად დღეს ცოცხალი (მე პირადად აღექსანდრე თხილაიშვილისა და ალერკინ კოპლატაძის გარდა არავინ მახსენებდა) საპირიოდ მიმარჩია, თუნდაც ახლა, ს. ქავთარაძის მონათბობის წერილობითი და ლიტერატურული რამდენადაც ეს მოგონება შეიძლება მეცნიერული კვლევისათვის გახდეს განოსადეგი, შევეცდები მაქსიმალური სიზუსტით გადმოგვცეთ განათგონი.

ბათუმისაკენ უკანდახვევისას მენსევიკურმა მთავრობამ რატომღაც თან წარმოვიყვანა რამოდენიმე პოლიტ პატრიარქი. ვენბათუმის ციხეში მოგვათავსეს. პირველი რაც გავაკეთეთ, შევეცადეთ ციხიდან დავედგინებინა კავშირი ბათუმელ მოწვევიკებთან და ნუშებთან. არაუფრო გამოვივიდა და იძულებული გავხდით ბედს მივნიღობოთ. ერთ მშვენიერ დღეს ბადრაგმა ციხიდან გამოგვიყვანა და სადღაც წავგიყვანა. მე ბათუმში აღრე ნაწყობი არ ვიყავი, მაგრამ როცა შევიტყვე, რომ ნავსადგურისაკენ წავგიყვანეს, ვიოქმედი აღარ დავგვიტყვეტენ და აღბათ თან წავგიყვანდნენ მძველებად უკანთში. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შემიყვანეს ნავსადგურთან მდგომ ღამაში სასტუმროს შენობაში და პირდაპირ ნოე უორდანიანთან წარმადგინეს. აქვე იყო მენსევიკური მთავრობის რამოდენიმე ხელმძღვანელიც. ნ. უორდანიანი ყოველგვარი შესავლის გარეშე გამოვიცხადე, რომ მენსევიკური მთავრობა ბათუმს ტოვებს და გემით საზღვარგარეთ მიემგზავრება, რომ ბათუმისაკენ მოემართება მე-II არმიის ნაწილები

და მათ მოსვლამდე ჩემი, როგორც ქართველის მოვალეობაა, არ მივცე თურქებს საშუალება დაიკავონ ბათუმი. მან გამოვიცხადა, რომ შესაბამისი განკარგულება მისცა გურიის-სამეგრელოს ჯარის იმ ნაწილებს, რომლებიც ბათუმში თავმოყრილი. მატარებლებისა და ვაგონების მთელი შემადგენლობა გაგზავნილიყო მე-II არმიის შესახვედრად, რაც დააჩქარებდა მათ ბათუმში ჩამოყვანას. მეტე დაუმატა, ამა თქვენ იყოთ, არ დაუთმოთ ქალაქი თურქებსო.

განოვებით გარეთ და გიგრძენით რა დიდი პასუხისმგებლობა დანევისრა მაშინ ვერ ვიღვე ახალგაზრდა კაცს. პირველი, რისი ვაკეთებაც დაეპირე, ეს იყო კავშირის დამყარება ბათუმელ ბოლშევიკებთან, ეს პრაქტიკულად შეუძლებელი ვახდა.

იმ ზანად 70 ათას კაციანი ქალაქი დაცული დამხვდა. ქალაქში 20 ათასამდე კაცი თუ იყო დარჩენილი, ისინიც სახლებში ისხდნენ და ელოდებოდნენ თავის ბედს. ქალაქის „პორტო-უკანკოს“ სტაჟისის პირიბებში მოზღვაველ მშობთა კლასს ვერ ვიღვე არ ჰქონდა დაკარგული კავშირი იმ სოფლებთან, საიდანაც იყვნენ ჩამოსული და ამ ძნელებლობის უამს ისინი თავიანთ მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ. არ გამართლდა ჩემი იმელები, დამემყარებინა კავშირი ბათუმის ლოკერებთან, რომლებიც ჩემი წარმოდგენით იმ დროს ქალაქში ძლიერი რევოლუციური ძალა უნდა ყოფილიყო. ბათუმის სავაჭრო ნავსადგური აღარ აღნიშნავდა და ისინიც მიმოაბრუნლავდნენ. ერთადერთი რამდენადმე ორგანიზებული ძალა აღმოჩნდა ბათუმის ნოქრებისა და ოციანტების პროკავშირი, (დამამახსოვრდა ს. ქავთარაძემ ოციანტების მაგივრად იზმარა სიტყვა „პოლოვი“) ვასაგები იყო, რომ ასეთი ძალებით ჩვენ ქალაქს თურქებისაგან ვერ დავიცავდით, არაღმასობაში ჩემი თანამოაზრეები თუ კავშირე შევგროვდით, დავიკავეთ შენობა და გამოვაცხადეთ თავი ბათუმის რევკომად. შემდეგ შევეცადეთ მოგვენახა გენერალი მაზნიანოვილი, რომელიც, როგორც გავიგეთ უორდანიანს ნათქვამიდან, ბათუმის დაცვაში დაგვხმარებოდა. გენერალი ერთერთ ლუქანში აღმოვარინეთ, სადაც თავის ბოლმას რამოდენიმე მეგობართან ერთად დენოში აპრჩობდა. გამოვიცხადე გარეთ და ვუთხარი, რომ ნ. უორდანიანს ბრძანებით ჩემს განკარგულებაში

უნდა გადმოსულიყო და თავისი არმიით ბათუმი უნდა დაეცვა...

ერთ რაზმში მარტალი იყო, მენაშვილი... მისი მიზანმიმართული არმია სულ მთლად დაშლილიყო...

ასეთ დღეში ვიყავით, რომ შუაღამოსას განაოვიძეს, მე-II არმია მოვიდაო...

ეს „მე-II არმია“ რის ვაი-ვაგაბით გავათბეთ, თავაპურეთ და სხვა რომ ვერაფერი მოვიმოქმეთ...

დილით ნათელმა ბათუმმა ვაიგო, რომ რაღაც მე-II არმია შენოსულა და არდაჯანის ყაზარტები დაუკავებიაო...

აქვე მივაკითხეთ მოსკოვს. განვიცხადებთ რატიონები მეთაური. (ს. ქავთარაძემ რამოდენიმეჯერ ახსენა მისი სახელი...

თურქმა მიპასუხა: ვერ საჭმელი მომიტანეთ და მე რე ვილაპარაკოთო.

გავმართეთ ბოლბა. მოგმა თქვა, მშვიდები არ გა მოდიან და მაგათ მაძურებსო...

ეგრეთ მოვიტანეთ კალთით სანთავაგე, მეორე სართულზე ავიგანზე აუგდეთ თოკი...

ბოლოს გველირსა. ბათუმში შემოვიდა მე-II არმია - ყველაფერი რაც გავიხსენე და აქ გადმოვივი ჩემი კი არა...

ვიქორ ლორთქიანიძე ბათუმი. 1990 წლის 9 მარტი.

მინაწერი: აღნიშნული ხელნაწილს გადავიცემ ერთჯეროვანად ვაჭრებს „საბჭოთა აჭარა“-ს და „კარიბჭე“-ს...

რედაქციისათვის: სერგო ქავთარაძის მოვინებამი. ჩვენი აზრით დაკნინებული გენერალ მაზნიაშვილის ფაშლი...

25 თებერვალს შესრულდა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის 69 წელი...

მიმართვა ქართველ ხალხს!

მამულიშვილნო! უცვლელად ხანია დადგა დრო, როცა საბჭოთა უნდა ითქვას საქმეცნოდ და ყველას გასაგონად...

ერთი მუშა ქართველი „მედიკოსები“ საბჭოთა რუსეთის წითელ არმიას მოაღატაურად შემოუძღვნენ საქართველოში...

ერთხელ გაუსწორონ ანგარიში საკუთარ ხალხს თავისუფლებისათვის სწრაფვისათვის, (რაც 9 აპრილმა დაადასტურა)...

ჩვენ ვიცით, რომ საერთო განუკითხაობის პირობებში, როცა ადამიანს ჩაღის ფასი დაეღ და პიროვნების საზოგადოებრივი თუ სამსახურებრივი წინსვლის ერთადერთი გარანტიას მათთან თანამშრომლობა იძლეოდა...

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ყველა ქართველი ისევე უწყვეტად დადგება თავისი სამშობლოს თავის უფლების საღარაჯოზე...

თუ შეგაშინებთ გოლგოთის ეკლიანი გზა, გოლგოთას ამალგება მოსდევს!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!!!



მიტინგის დაწყების წინ

ქარონია

18 მარტს აჭარის გასაბჭოების დღეს ბათუმში საოლქ კომიტეტის წინ ჩატარდა მიტინგი. მიტინგს ესწრებოდნენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები...

მოედანს სადაც კერძო იყო აღმართული თავისი სახელი უნდა დაუბრუნდეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს მას თავისუფლების მოედანი ეწეო.

ქარონია

რ ა მ ო ხ დ ა დ ა რ ა გ ვ ე ლ ი ს

დ. ბერძენიშვილი

1990 წლის მარტი პოლიტიკური თვალსაზრისით უაღრესად დატვირთული აღმოჩნდა. მთავარი ორიენტირი იყო 25 მარტი, უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე. ამ თარიღისადვის ემზადებოდა ოპიციონი, კონსტრუქციული ოპოზიციაც და შეფურცელები (როგორც თავს უწოდებენ) ოპოზიციაც. 1989 წლის ნოემბერში უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული საარჩევნო კანონი არ ითვალისწინებდა მრავალპარტიულ პრინციპებს. მიუხედავად ამისა, მოხერხდა ოპოზიციის გარკვეულწილად კოორდინირება, რაც აისახა სახალხო ფრონტისადმი წამოყენებულ კანდიდატებში.

წლის დასაწყისში სსრ მიმართვა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, არჩევნების მრავალპარტიულობის პრინციპით ჩატარების თაობაზე, აღმოჩნდა მხოლოდ ოპოზიციის გამოხატვა. ვერ მოხერხდა მისი რეალიზება; ოპოზიციის მხრიდან ოპიციონის საპირისპიროდ საარჩევნო კანონის წარმატებით წარმართვის ომზე ვერ შეეძლო შეფურცელებთან მოსალოდნელი დარტყმის სიძლიერე. ბოიკოტის მომხრე ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი თითქოსდა არ უპირისპირდებოდა უზენაესი საბჭოს ოპოზიციონერ კანდიდატებს, ამან მოადუნა, როგორც ჩანს, კონსტრუქციული ოპოზიციის ყურადღება.

1990 წლის 9 მარტს სახალხო ფრონტისა და დასის დაწოდების შედეგად უზენაესი საბჭომ მიიღო უმნიშვნელოვანესი დადგენილება, სადაც საქართველო გამოცხადდა ანექსირებულ ქვეყანად, ბათილად ცნეს საბჭოთა რუსეთთან საბჭოთა საქართველოს 1921 წ. ხელშეკრულება და მოითხოვეს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის რუსეთთან მოლაპარაკება. სახალხო ფრონტის ავტორიტეტის მკვეთრი ზრდის საპასუხოდ შეფურცელებმა დანაშაულებრივად გამოაცხადეს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება და მოიწვიეს საგანგებო კონვენცია; კონვენციისაზე სახალხო ფრონტმა, რესპუბლიკურ-ოპერატიული პარტიამ, მწვენეთა პარტიამ, დას-მა, ფრონტის ეროვნულ-ლიბერალულმა კავშირმა, რუსთაველის საზოგადოებამ, ჯავახიანიძის საზოგადოებამ მოითხოვეს უზენაესი საბჭოს არჩევნების გაუქმება და მრავალპარტიულობის პრინციპით საკანონმდებლო ორგანოს არჩევა. ცალკე განცხადებებით ანალოგიური პოზიცია გამოხატეს რესპუბლიკურმა პარტიამ, პოლიტიკურმა კლუბმა, სახალხო ფრონტის რეგონულმა ორგანიზაციებმა და სხვებმა. ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელსაც პირობითად კონსტრუქციული ოპოზიციას ეძახიან, როგორც რაოდენობრივად, ისე ინტელექტუალურად, რბილად რომ ვთქვათ, არ ჩამოუვარდება შეფურცელებს. ამის მიუხედავად, კონვენციისაზე მათ კონსტრუქცია მოუწყვეს, ხსენის კომიტეტს სახელი გამოუცვალეს, დაარტყეს მას ეროვნული ფორუმი, რაც გასაღდა ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის მმართველ ორგანოდ.

არჩევნების ბოიკოტის ფუნქციონირება კონვენციის რეზოლუციისაში აისახა, რამაც აქტიურ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიმხრო და შეიქმნა საშიშროება, რომ უზენაესი საბჭო ვერ დაკომპლექტდებოდა. თუ 25 მარტის არჩევნები დაიწყებოდა, არსებულ უზენაესი საბჭოს უნდა ჩაეხარებია მისი რწმუნება და საქართველო დიდი ხნის მანძილზე საკანონმდებლო, თუნდაც უფარგისი, ორგანოს გარეშე აღმოჩნდებოდა. სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს წინ ვეღარ აღუდგებოდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანო და ჩვენ კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებოდით ანგარიშგასაწვევი გახდა ისიც, რომ მარტში სახალხო დემუტატა ყრილობაზე მრავალპარტიულობის დეკლარირების შემდეგ საქართველოში ერთპარტიული არჩევნების ჩატარება უკვე ანაქრონიზმი შექმნილ სიტუაციაში კონსტრუქციული ოპოზიციის ყველა ორგანიზაციამ კატეგორიულად მოითხოვა 25 მარტის არჩევნების გაუქმება და სამი თვის ვადაში, პარტიების რეგისტრაციის შემდეგ, მრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანოს არჩევა. მოსკოვისა და თბილისის ხელისუფლებამ, რომლებიც ამჟამად ერთად მოქმედებდნენ (გაციხსენით ბ-ნ გუმბარძისა და ბევრი ქართველი სახალხო დემუტატის მიერ საქართველოს უზენაესი საბჭოს 9 მარტის დადგენილების უგულვებელყოფა სსრკ პრეზიდენტის პოსტის შემოღებასთან დაკავშირებით,

სკკპ პლენუმზე გ. გუმბარძის გამოსვლა და ა. შ.), მშვენივრად გამოიყენეს ეს სიტუაცია და „დააკმაყოფილეს“ კონსტრუქციული ოპოზიციის მოთხოვნა, იმ „მცირედენი“ შესწორებებით, რომ არჩევნები დანიშნეს არა სამი თვეში, არამედ ნოემბერში. თითქოსდა დაკმაყოფილდა ბოიკოტისტების პატივმოყვარეობაც (არჩევნების ჩაშლა), კონსტრუქციული ოპოზიციის მოთხოვნაც (მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნა) უკვე ერთად კნ გახანგრძლივდა არსებული რეჟიმის ბატონობა საქართველოში.

მოსკოვში ამჟამად დებულობენ ოპერაციის განახლებისა და სხვა ჩვენს საწინააღმდეგო კანონებს. რესპუბლიკურმა პარტიამ, პოლიტიკურმა კლუბმა და სხვებმა (მათ შორის ბათუმის სახალხო ფრონტმა) 18 მარტს შემუშავებულ განცხადებაში კატეგორიულად მოითხოვეს, რომ დღევანდელმა უზენაესმა საბჭომ არ დადოს რაიმე ხელშეკრულება. ეს არ აისახა 20 მარტის სესიის დადგენილებაში და მომავალში მისი განხორციელებისათვის მძიმე რთული იქნება.

საქართველოს ბევრ ქალაქსა და რაიონში ღენინის ძეგლების ჩამოგდებას ხელისუფლებამ თითქოს წაუყრუა. მილიტარული აგრესიის ინფორმაციას, რომ საჭიროების შემთხვევაში ბრალი წაუყენოს უშუალო შემსრულებლებს, პარტიული ორგანოები ქმნიან „საზოგადოებრივ-აზრის“ ტირანის ძეგლის ჩამოგდებას წინააღმდეგ-ესე მოსაზრებები საშუალო სიეროს განცხადებებში. თუ წელს, 9 აპრილამდე საქართველოს ხელისუფლება თავად არ აიღებს ღენინის ძეგლს თბილისში, ეს იქნება ყველაზე დიდი პროვოკაცია საკუთარი ერის წინაშე, რამეთუ ამ თარიღისათვის ჩვენი მოსკოველი მტრებიც ემზადებიან, ემზადებიან რევანშისათვის, მოთმეტეს რომ უკვე დაიწყოს ახერხაიან-სომხეთის კონფლიქტის ხელახალი პროვოცირება მოსკოვის მიერ.

სრულიდაც არაა გამორიცხული, რომ თითქოსდა რესპუბლიკის სუვერენიტეტის გარანტისათვის ბ-მა გ. გუმბარძემ საქართველოს პრეზიდენტობა ნიონდომოს. ყველა ღენი უნდა გინმართ, რომ ეს არ მოხდეს, რადგან „პრეზიდენტ“ განუსაზღვრელი უაღრესი პიქნება და მოსკოვის, გორბაჩოვ-შეგარდაძის მითითებებით მოქმედი საქართველოს „პრეზიდენტი“, დემეტრე უწყის, რას დაგვმართებს, ამასთანავე, კონსტიტუციაში ცვლილებები დემუტატა 213-ით წყდება და გაჭირდება ამ პუნქტის ამოღება ახალ უზენაეს საკანონმდებლო ორგანოშიც.

მოსკოვმა ამჟამად მოიგო. ღიტვას მალე შეუერთდება, ალბათ, ესტონეთი და ლატვია; მათ გარდა არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება საქართველოში იყო მოსალოდნელი. ჩვენ შეგვეძლო ბალტიის ფრონტს შევერთებოდით მეორე ფრონტით. ეს ასე არ მოხდა და ერის წინაშე პასუხისმგებლობა თუ უპასუხისმგებლობა მალე იჩენს თავს.

ესტონეთში ეროვნული კონგრესი (რისი ანალოგის შექმნასაც ვარაუდობს ჩვენი ეროვნული ფორუმი სექტემბერში) ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას აერთიანებს სახალხო ფრონტის ჩათვლით. იქ ეროვნული კონგრესი არის ერის ნების გამოხატველი ფაქტობრივი ორგანო და დასავლეთთან ურთიერთობისათვის ძაღიან ეკუთვნის საშუალება. კონგრესის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი უზენაესი საბჭოს დემუტატა. 20-ზე მეტმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნებში და თქვენ წარმოიდგინეთ, არც იქ და არც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც საოკუპაციო ვარის არსებობის პირობებში ამომრჩეველთა 92% მივიდა საარჩევნო ყუთებთან, არც სხვაგან სადმე ერის მოლატეებდა ერის აბსოლუტური უმრავლესობა არც ერთ ჭკუათმყოფელს არ გამოუცხადებია (24 მარტს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის II კონგრესმა უკვე გამოხატა მრავალპარტიული საბჭოთა არჩევნებისადმი ბოიკოტის პოზიცია).

ვაცლავ ვაველმა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტობა უაღრესად შეგარბული, ჰუსაკის „პარლამენტისგან“ ნიილ, მაგრამ უზენაესში ძნელია სამგზის ყოილ პოლიტპატიმარს დასლო ბრალი. ან იქნებ სოლიდარობა, ნობელის პრემიის ღაურეატი ლევი ვალენსა და ახალი პრემიერ-მინისტრი თადეუშ მათოვეციკი არიან ერის უფარგისი და უზნეო შეილები; გენერალ იარუზელსკის რომ იტანენ პრეზიდენტად.

ჩვენ მომხრე ვართ ეროვნული ყრილობის მოწვევისა დემოკრატიულ საფუძველზე. მასში მონაწილეობას აქტიურად მივიღებთ. თუ ყრილობის არჩევნების პირობა იქნება „საბჭოთა“ არჩევნების ბოიკოტი, სხვა შემთხვევაში მოთხოვნები, მაშინ ყრილობა ნაირი სახარტლის ნორმით არ იქნება უფლებამოსილი, იყოს ხალხის ნების გამოხატველი ორგანო და თან საკითხავია, მოხერხდება თუ არა მისი დაკომპლექტება საერთოდ. როგორც ბალტიის რესპუბლიკებში, ისე ჩვენში რეალურად არის შრომის დანაწილება კონსტრუქციულ და ულტრამეზარეულე ძალებს შორის. იქ ეს ალიარბულია ღრვემხრის მიერ, ჩვენში კი ჩვენი. ორთა აცხადებს ამას, სხვა ორთა კი უარყოფს. შრომის რეალური დანაწილება იმდენად ამჟამად, რომ მის პატიოსნად ალიარბებას ვერავინ გაეცევა. ერთსაც დავამატებდი, პოლიტპატიმარებში ნამყოფ ყოილ პოლიტპატიმართა უმრავლესობა სწორედ კონსტრუქციული ოპოზიციას მიეკუთვნება, რაც ალბათ, ანგარიშგასაწვევია პოლიტიკური ზნეობრიობის კრიტერიუმების დადგენისას.

ორიოდე სიტყვით შევეცხები ბათუმში 18 მარტს ჩატარებულ მიტინგს. 17 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის გაიმგობის სხდომა, ხოლო 18-ში მიმდინარეობდა სახალხო ფრონტის კონვენცია, ჩემი იქ ყოუნა საჭირო იყო. არ გამოვრცხავ, რომ ბათუმში 18-ში მიტინგზე ჩემი დასწრება იქნებ უფრო საჭირო და მნიშვნელოვანი იყო. მიტინგს ეროვნული მოძრაობის სხვა ორთა ატარებდა და სახალხო ფრონტის წარმომადგენელთა მძაფრი პასუხი (ბათუმელმა, ვეიქრობ კარგად იცინა გ. ტოტოჩავას, თ. დიასამიძის თუ სხვათა ინტელექტუალური პოტენციალი და მოქალაქეობრივი გამბედაობა) ალბათ გამოიწვევდა ეროვნული ძალებს შორის კონფრონტაციას, რასაც ჩვენი წარმომადგენლები მოტირდნენ, ალბათ, სამართლიადაც. ბათუმის სახალხო ფრონტის ავტორიტეტი ქალაქში იმდენად მაღალია, რომ ულტრარადიკალების თბილისელი უფროსები შეეცხები გუნდის შეტევა ვერ შეცვლის ძალთა თანაუარობას ბათუმში. „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი და რჩებიანო“.

უაღრესად აწონდაწონილი სიტყვა უთქვამს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, მის მიმართ მე რაიმე პრეტენზია არა მაქვს. რაც შეეხება ბ-ნ ი. ბათიაშვილის გამოსვლას, პოზიციის გამოხატვის, თუნდაც არასასიამოვნო იარღიყების მიკერება მისი საქმეზე, უკატეების დამახინჯება კი არაა მოსაწონი, ძალიან რბილად რომ ვთქვა, კონვენციისაზე ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გამოსულ ორგანიზაციებდა საქართველოს სახალხო ფრონტისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთად მოხსენიება მახსენებს ოპიციონის ორგანოებში („კომუნისტები“; „ზარია ვოსტოკა“; „სტო დეადეატ მიწუტ“ და სხვა) გატარებულ ანალოგიურ ხაზს. გ. მუჩაიძისა და ნ. ნათაძის ერთ სიბრტყეზე განხილვა ალბათ ი. ბათიაშვილსაც მოეხსენება, უხერხულია. ზემოთ მე ჩამოვთვალე ორგანიზაციები, რომლებმაც სახალხო ფრონტის ანალოგიური პოზიცია შეიმუშავეს. ვასაგებია, რომ არ იყო მიტინგზე მომგეპიანი ირაკლი შენგელასი (რესპუბლიკურ-ოპერატიული პარტია), ზურა შვანიას (მწვენეთა პარტია), რეზო შავიშვილის (დას-ი) და სხვათა დამნაშავეებამდე. გამოცხადება. პიროვნებისა და ორგანიზაციის გამოყენება კი მიამიტი არგუმენტია; ნათაძე სახალხო ფრონტის ხელმძღვანელია და თუ ფრონტს დანაშაულებრივ ორგანიზაციად აცხადებ, მაშინ მისი ხელმძღვანელიც ასეთად უნდა განიხილო, მაგრამ ეს ხომ წამგებიანი იქნებოდა ულტრარადიკალებისათვის. ბათუმის ფრონტს რომ არ შეხებია ცალკე, ესეც ჩვენი პატივისცემით ან დადობით კი არ არის გამოწვეული, არამედ ჩვენი ავტორიტეტი; მიტინგი ამას არ მიესალმებოდა, თან მაშინ ჩვენი წარმომადგენლებიც „როგორმე“ მოახერხებდნენ გამოსვლას და საკადრისი პასუხის გაცემას. თუ როგორია ჩვენი ავტორიტეტი, ეს იმავე საღამოს გამოჩნდა, აცხობით ბათუმელი რომ მხარში ამოვივად და ხელისუფლების უნაობის მიუხედავად რომ მოხერხდა ჩერნობილის ზარცის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა ღენილის მომგვრელი მისამართით: მოსკოვი, კრემლი, მურახოვსკის.

დაბოლოს აღვნიშნავ, რომ ბათუმში ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობა სასურველი გზით მიდის, რომლის დევიზიც, ჯერ კიდევ 1978 წელს გამოიკვეთა რესპუბლიკური პარტიის არალეგალურ ყურნალ „სამრეკლოში“ — „ვიყვეთ არავეისი და ვმსახურებდეთ არავეის თვინიერ დამბადებლისა“

ამა წლის თებერვლის დამდეგს საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მიწვევით ვმონაწილეობდით მოსკოვში მოწყობილ საკავშირო სემინარში. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრკ თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის, კომკავშირის ცკ-ის პასუხისმგებელი მუშაკები.

თითქოს წინასწარ იყო დაგეგმილი, სემინარი ატარებდა აშკარა ნაციონალისტურ, შოვინისტურ, ხასიათს. აბსოლუტურად უმრავლესი რუსული აუდიტორია /რომელთა ძირითად ნაწილს სამხედროები შეადგენდნენ/ არაერთად ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ სემინარის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ წარმომადგენლები მოკავშირე რესპუბლიკებიდან, რათა ზომიერი ყოფილიყო მათი დამოკიდებულება ნაციონალურ საკითხებისადმი. პირიქით ყველა გამომსვლელი იმის ცდაში იყო, ვინ-ვის აჯობებდა ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ლანძღვა-გინებაში. მათი თავდასხმის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა საქართველოში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, აზერბაიჯანში სომხეთში... მიმდინარე ეროვნული მოძრაობა. გამოსვლებში იგრძნობოდა შიში საბჭოთა იმპერიის დაშლისა, სემინარს წითელ ზოლად გასდევდა საბჭოთა ფედერაციის შენარჩუნების მოთხოვნა.

გამომსვლელები კატეგორიულად უარყოფდნენ დამოუკიდებელი ეროვნული არმიების შექმნის მოთხოვნას. საკავშირო ალტკ ცკ-ის პირველმა მდივანმა მორონენკომ თავის გამოსვლაში თქვა, რომ არასწორია ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოთხოვნა, იქაურმა ახალგაზრდებმა „საკუთარ სახლებში“, მოიხადონ სავალდებულო სამხედრო სამსახური. ასეთი მოთხოვნები იწვევენ ნეგატიურ გამოვლინებებს, მას დაეთანხმა არმიისა და ფლტის პოლიტსამმართველს უფროსი ლიზანევიჩი.

მაღალი რანგის სამხედროების გამოსვლებში აშკარად ჩანდა მოთხოვნა „ერთიანი, ძლიერი, ინტერნაციონალური სულიკვეთებით აღზრდილი საბჭოთა არმიის შენარჩუნებისა“, აღინიშნა, რომ არ დაუშვებენ საბჭოთა არმიის დაქუც

„უფროსი ძმები,“ თავისას არ იშლიან...

რ. ზუზუნაძე

მაცებას ეროვნული ნიშნის მიხედვით. ვინც დაარღვევს საბჭოთა კონსტიტუციის 31 მუხლს, სისხლის სამართლის შესაბამისი კანონით დაიჯიბება /მაისევე, არმიის გენერალი/.

ითქვა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები ყოველ ღონეს ხმარობენ, სახელი გაუტეხონ არმიას, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს საბჭოთა არმიაში არარუსი ჯარისკაცების მისამართით დისკრიმინაციისა და ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ. ისეთ შთაბეჭდილებას ვქმნიდნენ, თითქოს არმიაში საერთოდ არ ჰქონდეს მსგავს შემთხვევებს ადგილი.

გამოითქვა აზრი საკავშირო ორგანოებიდან რესპუბლიკური ორგანოების გამოყოფის წინააღმდეგ. მორონენკომ გაილაშქრა საკავშირო კომკავშირისადგან რესპუბლიკების კომკავშირის ორგანიზებული გამოყოფის წინააღმდეგ. საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ერთერთ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „შეუძლებლად მესახება რესპუბლიკების დამოუკიდებელი უშიშროების კომიტეტების არსებობა“.

ჩემდა გასაკვირვად იყო ასეთი შემთხვევა, კითხვაზე, „თავისი ადრინდელი ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შემდეგ აკად. სახაროვი რატომ აღიარეს სახალხო გმირადო? ჩვენ არ გავციხდით გმირად, იყო პასუხი და... სიცილი.

თავდასხმის მთავარ ობიექტად ისევ რჩებოდა 9 აპრილის ამბები. გამომსვლელები ჯიუტად იმეორებდნენ ვაცვეთილ ფრაზებს, რომ აღნიშნულ ამბებში მთავარი დანაშაული მიუძღვით ქართველ ნაციონალისტ-ექსტრემისტებს. აიყოლიეს რა გაბრიყვებული ახალგაზრდობის ბრბო, სურდათ მთავრობის სახლის ხელში ჩაგდება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაშობა... ისინი საერთოდ არ ცნობენ 9 აპრილის ტრა

გედიაში არმიის დანაშაულს. უფრო მეტიც ერთერთ შეკითხვაზე, „რატომ მოექცით უსამართლოდ სახელგანთავსებულ გენ. როდიონოვს, არმიის გენ. მოისევემა უპასუხა - „ზოგი გენ. როდიონოვს რატომღაც შერისხულად თვლის, პირიქით, ჩვენ იგი დავაწინაურეთ, სპეციალურად ვადმოვიყვანეთ მოსკოვში და სათავეში ჩავუყენეთ იმ სამხედრო აკადემიას, რომელმაც საბჭოთა არმიას უნდა გაუზარდოს მომავალი სახელგანთავსებელი. ჩვენ მისი დიდი იმედი ვვაქვს...“

ისინი საერთოდ არ ცნობენ 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით სობრაკის კომისიის დასკვნებს და საკავშირო სახალხო დემოკრატია მეორე ყრილობის მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებას. სობრაკის კომისიის დასკვნებთან დაკავშირებით სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ჩვენ უფრო მეტი და უტყუარი მასალა მოგვეპოვება 9 აპრილის ამბების შესახებ ვიდრე სობრაკს. ხოლო თავის გამოსვლაში თავდაცვის მინისტრმა დასძინა, სობრაკი სობრაკია, ჩვენ ჩვენა ვართო. სსრკ ომი ზა და შრომის ევტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ისიც კი იკადრა, რომ მშვიდობიან მომიტინგეებს გარეწრები, ავანტიურისტები უწოდა, რომ ელთაც თურმე ზ. გამსახურდიას, წერეთლის, კოსტავას... ხელმძღვანელობით მთავრობის სახლის ხელში ჩაგდება ვქმნიდათ ვანზრახული, თითქოს ვამოტანილი ვქმნიდათ ნაციონალისტური, ანტირუსული ლოზუნგები. მან აშკარა უკმაყოფილების გამოხატვით აღნიშნა: „ვაუგებარია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რატომ არ იჩენს საჭირო პრინციპულობას და ეყრება ნაციონალისტ-ექსტრემისტებს; 9 აპრილის მთავარი მოთავეები ვამსახურდია, წერეთელი, კოსტავა... ციხიდანაც კი ვათავისუფლავ...“

ამ დარბაზში სავსე ცილისმწამებლური გამოსვლების მოთმენა არ შეიძლებოდა. ამიტომ იძულებული გავხდი სემინარის მსვლელობის დროს გამოვიხატა პროტესტი დარბაზისადმი შემდეგი მიმართებით: „პროტესტს ვაცხადებ საქართველოს მისამართით ასეთი ცილისმწამებლური, შეურაცხყოფელი გამოსვლებისათვის“ და პროტესტის ნიშნად საშინლად აღმუშაობულმა და აღვლებულმა დავტოვე დარბაზი.

პოლიტიკური დეტექტივი თავდასხმა ჯერ არსებული სახელმწიფოს ჯერ არსებულ ხაზინაზე

ეს ამბავი იმ დღეს მოხდა, როდესაც მოსკოვში ცენტრალური ვაზეთების ბოლო გვერდზე გამოაქვეყნა მოკლე ცნობა ოქროზე და ძვირფას თვლებზე ფასების ორმაგად მომატებაზე.

შემეტყობას ეს ცნობა არც წაუკითხავს, ან თუ წაიკითხა, გულთან არ მიუტანია. ოქროს პატრონს აბა რაზე უნდა სწყენოდ? ვისაც ძვირფასი თვლები და სამკაულები არა აქვს, მისთვის კი სულ ერთია, თუ რას ფასობს ეს ფუფუნება. ეს ამბავი არც იმან განიცადა, ვისაც გაჭირვებამ საგვარეულო განძეული გასაყიდად გამოატანინა და არც იმდენ, ვინაც ოქროს ბის შექმნა განიჭრახა, რამეთუ არც ერთი და არც მეორე ამ ვარიანტისას არ სარგებლობს სახელმწიფო სავაჭრო მაღაზიებით.

ასე რომ, იმ საღამოს იმ საქართველომ მშვიდად დაიძინა, რამეთუ არ უწყობდა და დღემდე არ უწყის, რომ დღისით მზისით, უსინდისოდ, ყარაღურად გაძარცვის...

აიღე მკითხველო, თუ გაქვს, საბჭოთა თუმნიანი და ყურადღებით წაიკითხე მასზე მოყვანილი წარწერა: „**Банковские билеты обеспечиваются золотом, драгоценными металлами и прочими активами государственного банка!**“ დიახ, ჩემო მკითხველო-ჩვენ რომ ვიბეჭდო ფული გვიღვეს, იმის ექვივალენტური რაოდენობის ოქრო ანუ ჩვენი წილი სახელმწიფო ხაზინისა მოსკოვში ყოფილა, სახელმწიფო ბანკში. იქვეა ამ ფულის წილი ოქრო გერცხლი, ჩვენ ჰომ შემნახველ ბანკში ვვაქვს, იმი საჭ ობლიგაციების სახით რომ ვვაქვს ხელთ, იმისაც, რაც საქართველოს ქარხნებს, კოლმეურნეობებსა

და დაწესებულებებს აქვთ საბანკო ანგარიშზე. ასე რომ საქართველოს წილი საბჭოთა სახელმწიფო ხაზინისა, როგორც ხედავთ, მოსკოვში ყოფილა საცავებში შენახული. ჩვენ კი იმის დასტურად ხელთ გვქონია თავისებური ქვითარი „ბანკოვსკი ბილეთი“ ქაღალდის თუმნიანი, ოცდამწიანი და ასე შემდეგ.

ახლა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ კავშირიდან გასვლა მოინდომე და შენი საკუთარი ფულის მოჭრა. ხომ უნდა უთხრა საკავშირო ბანკს-ჰა შენი „ბანკოვსკი ბილეთი“ და მომე ჩემი წილი საერთო საკავშირო ხაზინისა? დავუშვებთ დათანხმდა და მოგვა. ხომ ახალი ფასებით გიანგარიშებს? ესეიგი ორჯერ უფრო ძვირად, ესეიგი ორჯერ უფრო ნაკლებს, ესეიგი გაუძარცვიხარ და ვერ შეგიტყვია! ხომ ვაგვიგონია, წყალწალბული ხავს ეჭიდებოდაო. ჰოდა არც მე მინდა და მირჩეს პირშიჩაღამოვლებულის სახელი და თავს ვიმედებ-მთელი მსოფლიო საბჭოთა თუმნიანს არაკონვერტირებულ ვალუტას უწოდებს და რაღა მე უნდა დავიჯერო იმ თუმნიანზე წანაწერი-ეს „ბანკოვსკი ბილეთი“. ეს დალოცვილი იმდენი დაბეჭდეს, რომ კელებზე რომ ააკრა, „ობოიზე“ იაღი დაგიჯდება. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, თავად სახელმწიფო ხაზინაც არ არსებობსო, ადმინისტრაციული ბიუროკრატის ვძრთხებმა დიდი ხანია დაიტაცესო. ან რომც იქოს, ვინ გამოვიჩენს. აკი ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ვაემუდავებინოს რესპუბლიკების „ძმური კავშირის“ მიერ მასზე მიბარებული ხაზინის ოდენობა.

რუსული სატირის ფანტომს კუზმა პრუდკოვს უთქვამს რაღაც ამის მაგვარი-გაღიას, რომ არწი იგი ეწეროს და შიგ კი მოხვერი იჯდეს, საკუთარ თვალებს ნუ დაუჯერებო. ჰოდა ნუ ვცნერვილებთ, ნუ ავთორიპედებით. კვლავაც მშვიდად გვეძინოს.
გ. შარბანი

ქრონიკა

კომპერატემა „ინტერსერვისმა“ ქველმოქმედების მიზნით საკმაოდ სოლიდური თანხები გადაურიცხა: ბათუმის ბავშვთა სახლს (20000 მან), მახინჯაურის ბავშვთა სახლს (20000 მან), მახინჯაურის ჩვილებავშვთა სახლს (20000 მან), აჭარის ბავშვთა ფონდს (20000) აჭარის დაზარალებულ მოსახლეობას (5000 მან) ქალაქის № I საავადმყოფოს (100000 მან).

რედაქციის მინაწერი: საინტერესოა, იხარჯება თუ არა ვადარიცხული თანხა დანიშნულებისამებრ? ბათუმის ს/ფ მაღლობას უხდის „ინტერსერვისს“ დახმარებისათვის (5000 მან).

ციხისძირ-პეტრას ახლად დაარსებული მუზეუმ ნაკრძალი ამ უნიკალური ძეგლის გადასარჩენად და აგრეთვე ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაზილიკის აღსადგენად საჭიროებს ფულად დახმარებას. ვისაც ეს ხელეწიფება შესაძლებლისადამაგვარად ვთხოვთ, თანხა ვადმოვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე
=60994=

ციხისძირ-პეტრას მუზეუმის დირექტორი ირაკლი ჩავლიშვილი.

ქრონიკა



კიდევ ერთ სატყევერობე

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო წყლებით...

დღეს მტკიცება არ საჭიროებს იმას, რომ რესპ...

ზღვით, ტბებით, მდინარეებით მდიდარი საქართველო...

ოფიციალური მონაცემებით რეგულაციამდე საქართველოში...

შავი ზღვის მძიმე ეკოლოგიურმა პირობებმა, ჰიდროგეობებმა...

ქართველი მეცნიერების მოკრძალებული თხოვნის საფუძველზე...

კი, ამ რაიონში ქაფშიის დასაჯვრად თავს იყრის 220-მდე...

ბ.მ.კ., დოცენტი ბ. ბურჯულაძის პროგნოზით ზუთხისებურთა...

ატლანტური ზუთხის ბინადრობს საქართველოს

შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ის გასამრავლებლად შედის მდინარეებში.

ატლანტური ზუთხის შავი, ბალტიის, ხმელთაშუა ზღვების...

1989 წლის 19 ივნისს ჩვენი ინსტიტუტის რუს თანგეგმ...

...არანორმალური მდგომარეობა იყო შექმნილი საქართველოს შიდა...

მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს გვინდა დავეუბნოთ...

მ. შავლაყაძე

ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამხრეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი

„ივერია“ არის!

ამა წლის 22 ოქტომბერს გაზეთ „თბილისში“ (სახალხო განათლებიდან შევიტყვე) და I მარტს „სახალხო განათლები“ დაიბეჭდა წერილები, სადაც ავტორები...

უპირიანი იქნება, თუ პატივცემული ავტორები დაეხმარებიან რედაქციას, რომ გაზეთი სტამბურის წესით...

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ბათუმის განყოფილება.

გაზეთის წინა ნომერში

გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდვით წერილი, რომელიც ქართველებმა...

ხელგაჩაღრის რაიონში განლაგებული 90-ე პოლკის ქართველი ჯარისკაცების მიერ ჩატარებულმა საპროტესტო აქციებმა...

და გარნიზონის ხელმძღვანელობას. ყარაულის უფროსი ამაზე დათანხმდა, მაგრამ როგორც კი დ. ბერძენიშვილი წავიდა...

თ. იმნაიშვილი

დასავლეთის ქვეყნების პარლამენტები

ავსტრია

(ავსტრიის რესპუბლიკა)
ტერიტორია - 83,8 ათას კვ.კმ.
მოსახლეობა - 7,5 მლნ კაცი (1973წ)
დედაქალაქი - ვენა. კონსტიტუცია მიღებული 1920 წ.

ავსტრია - პარლამენტური ფედერაციული რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურია ფედერალური პრეზიდენტი, რომელსაც მოსახლეობა ირჩევს 6 წლის ვადით. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, იგი შედგება ორი პალატისაგან: ეროვნული საბჭო და ფედერალური საბჭო.

ეროვნულ საბჭოში - საერთოეროვნულ წარმომადგენელთა ორგანოში 165 დეპუტატია, რომელთაც ირჩევს საერთო, პირდაპირი და უარული არჩევნებით. აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მოქალაქეები, რომელთაც 20 წელი შეუსრულდათ, პასიურთ 16წ.

დეპუტატების კანდიდატების სიებს წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები საარჩევნო ოლქების მიხედვით ხმის მიცემა ხდება ერთ ტურად, რეზულტატების განსაზღვრა - ორ ტურად: თავდაპირველად საარჩევნო ოლქებში წაწილდება ეგრეთწოდებული ძირითადი მანდატები, შემდეგ კი საარჩევნო ოლქებში წაწილდება დარჩენილი მანდატები. თუ რომელიმე პარტია ვერ მიიღებს ძირითად მანდატს 25 საარჩევნო ოლქიდან ვერც ერთში (საჭიროა 22 - 27 ათასი ხმა) იგი კარგავს მეორე ტურში მანდატების განაწილებას. მონაწილეობის უფლებას და მისთვის მიეღს რეპუბლიკაში მიცემული ხმები იკარგება.

დეპუტატი უფლებამოსილია - 4 წლით. ეროვნული საბჭოს დაშლა შეუძლია პრეზიდენტს (ერთხელ ერთსა და იმავე საკითხზე) ასევე მას შეუძლია განაოტხადოს თვითდაშლა.

ეროვნული საბჭო დეპუტატთა შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და ორ ვიცე-თავმჯდომარეს, რამდენიმე მდივანს, ისინი ქმნიან პალატის ბიუროს.

ეროვნულ საბჭოში იქმნება კომიტეტები და კომისიები. მთავარ კომიტეტს აქვს კონტაქტები მთავრობასთან საერთო საკითხებზე. მთ. კომიტეტის წევრებად ირჩევენ საპარლამენტო ურატციის გამორჩენილ წარმომადგენლებს. მთავარი კომიტეტის მუდმივად მოქმედი ქვეკომიტეტი ცვლის ეროვნულ საბჭოს მიწის დაშლის შემთხვევაში, არის კომიტეტები, რომელთა მოვალეობა დაკავშირებულია თვითონ პარლამენტის ფუნქციონირებასთან (რეგლამენტის საკითხებზე, დეპუტატების სელმეკრულების საკითხებზე) კომიტეტები აგრეთვე დაკავშირებული არიან სამინისტროებთან (საგარეო საქმეთა, ფინანსთა, იუსტიციის და სხვა) მუდმივი მოქმედი კომიტეტები იქმნება საპარლამენტო ურატციების წარმომადგენელთა პროპორციული დაცვით.

ეროვნული საბჭოს კომპეტენციაა: საკანონმდებლო საკითხები, რომელიც ფედერაციის განგებლობაშია, ფედერალური ბიუჯეტის დამტკიცება, ფედერალური სესხებისა და ფედერალური საკუთრების საკითხების გადაწყვეტა, საერთაშორისო შეთანხმებების რატორიკაცია, კონჭოლი მთავრობის მოღვაწეობაზე.

მინისტრებს ნიშნავს პრეზიდენტი კანცლერის წარდგინებით და ისინი პასუხს აგებენ ეროვნულ საბჭოს წინაშე. მას უფლება აქვს გამოუტანოს უნდობლობის ვოტუმი მთავრობას, მის ცალკეულ წევრებს, რასაც მათი გადადგომა მოჰყვება. ვოტუმის გამოსატანად ორივე შემთხვევაში საჭიროა სხდომა ესწრებოდეს ეროვნული საბჭოს დეპუტატთა ნახევარი მაინც.

ეროვნული საბჭო მუშაობს სესიური წესით. სესიას იწვევს პრეზიდენტი წელიწადში ორჯერ: გაზაფხულსა და შემოდგომაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში მას შეუძლია მოიწვიოს რეგულარულ სესიას.

ეროვნულ საბჭოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (კონსტიტუციით ასეთივე ინიციატივის უფლება აქვთ მთავრობას და ფედერალურ საბჭოს. ასევე კანონპროექტები შეუძლია წარადგინონ 200 ათასმა ამომრჩეველმა და სამი მხარის ამომრჩეველთა ნახევარმა). ეროვნული საბჭოს წევრს შეუძლია წარადგინოს საკანონმდებლო წინადადება თუ მას მხარს უჭერს 7 დეპუტატი.

კანონის მისაღებად საჭიროა, სხდომას ესწრებოდეს დეპუტატების 2/3 მაინც და ხმათა უმრავლესობა. კონსტიტუციური კანონების, რეგულაციური კანონების კონსტიტუციური დებულებების და ეროვნული საბჭოს რეგლამენტის მისაღებად საჭიროა სხდომას ესწრებოდეს დეპუტატების ნახევარი მაინც და ხმების 2/3.

ფედერალური საბჭო არის მხარეთა წარმომადგენელთა ორგანო. მათ ირჩევს ლანტაგი - მხარის პარლამენტი (3 დან 12 დეპუტატამდე). მათი უფლებამოსილების ვადა შეესაბამება მისი ლანტაგის უფლებამოსილების ვადას (4 დან 6-მდე). ლანტაგებში არჩევენ სხვადასხვა ვადებში ტარდება და ამდენად, ფედერალური საბჭოს შემადგენლობა წაწილ-წაწილ ახლდება.

ფედერალური საბჭოს უფლებამოსილება ბევრად მცირეა ეროვნულ საბჭოსთან შედარებით. მისი მონაწილეობა საკანონმდებლო საქმიანობაში შემოიღობება საკანონმდებლო ინიციატივით. აქვს უფლება დასაბუთებული წინადადებებია გაუწიოს ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ კანონს (მისი მიღებიდან 8 კვირის განმავლობაში). თუ ეროვნული საბჭო კვლავ მიიღებს გაპროტესტებულ კანონს, ფედერალური საბჭოს წინააღმდეგობა კარგავს ძალას. ფედერალურ საბჭოს არა აქვს უფლება, გააპროტესტოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებები სახელმწიფო ბიუჯეტზე, სესხებზე და ფედერალურ ქონებაზე.

ფედერალური საბჭოს უფლებამოსილება ბევრად მცირეა ეროვნულ საბჭოსთან შედარებით. მისი მონაწილეობა საკანონმდებლო საქმიანობაში შემოიღობება საკანონმდებლო ინიციატივით. აქვს უფლება დასაბუთებული წინადადებებია გაუწიოს ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ კანონს (მისი მიღებიდან 8 კვირის განმავლობაში). თუ ეროვნული საბჭო კვლავ მიიღებს გაპროტესტებულ კანონს, ფედერალური საბჭოს წინააღმდეგობა კარგავს ძალას. ფედერალურ საბჭოს არა აქვს უფლება, გააპროტესტოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებები სახელმწიფო ბიუჯეტზე, სესხებზე და ფედერალურ ქონებაზე.

გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ესწრებოდეს სხდომას ფედერალური საბჭოს 2/3 და ხმათა უმრავლესობა. გადაწყვეტილება კონსტიტუციის სტატიის შეცვლაზე ფედერალური საბჭოს კომპეტენციაში შევა იმ შემთხვევაში, თუ ხმას მიცემს ოთხი მხარის დეპუტატი უმრავლესობა.

ავსტრიის კონსტიტუცია ითვალისწინებს ორივე პალატის ერთობლივ სხდომებს, ფედერალურ კრებას, როცა ფიცს სდებს პრეზიდენტი, ან განოსატანია ომის გამოცხადების გადაწყვეტილება. ასევე კრება შეიძლება იქნეს მოწვეული, როცა პრეზიდენტს ბრალი ედება კონსტიტუციის დარღვევაში და მისაღებად გადაწყვეტილება სახალხო რეფერენდუმისა პრეზიდენტის გადადგომაზე. ფედერალური კრება სარგებლობს ეროვნული საბჭოს რეგლამენტით. ფედერალურ კრებაზე თავმჯდომარეობენ ორივე პალატის თავმჯდომარეები რიგ-რიგობით.

ანდორა

ტერიტორია - 465 კვ.კმ.
მოსახლეობა - 21 ათასი კაცი (1973წ.)
დედაქალაქი - ანდორა. წერილობითი კონსტიტუცია არ აქვს.

ანდორა - სამთავროა, იგი ვასალურ დამოკიდებულებაშია საფრანგეთთან და ესპანეთის ურჯელის საეპისკოპოსთან. უმაღლეს ხელისუფლებას ერთიანად ახორციელებენ საფრანგეთის პრეზიდენტი და ურჯელის ეპისკოპოსი, ისინი წარმოდგენილი არიან ანდორის საქმეების მუდმივი დელეგაციებით (ვიციე).

უმაღლესი სახელმწიფო ორგანო არის გენერალური საბჭო, რომელიც 24 წევრისაგან შედგება. შეუძლია აირჩიოს და იქნეს არჩეული ყველა სრულწლოვანი ანდორელი, რომელიც არის სამრევლოს წევრი და ოჯახის მეთაური. საბჭოს წევრობის კანდიდატობას უფლება არ აქვს - ვისაც თემის ვალი აქვს.

გენერალური საბჭოს უფლებამოსილია 4 წლით. ყოველ ორ წელიწადში შემადგენლობა სანახევროდ ახლდება.

გენერალური საბჭო თავის წინადადებებს წარუდგენს გადასაწყვეტად ვიციებს. საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს - პირველ სინდოს და მოადგილეს, რომელთაც აქვთ აღმასრულებელი ხელისუფლება.

საქართველოს სახალხო ფრონტის
ბათუმის რეგიონული ორგანიზაციის
სათათბიროს საბჭო,
კომისიები (მუშა ორგანო)

კვაჭაძე სევერიანე (სოსო) ლევანის ძე-თავმჯდომარე
ჩავჭავიშვილი ირაკლი გურის ძე-მოადგილე,
ართმელაძე თამაზ მიხეილის ძე-პასუხისმგებელი მდივანი
მდივანი

ერისა და მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის
თავმჯდომარე ირაკლი ჩავჭავიშვილი
სოციალურ-ეკონომიკური
თავ-რე თამაზ ჯალალანია
საგარეო ურთიერთობათა
თავ-რე შჩა ოქროპირიძე
ორგანიზაციული
თავ-რე მერაბ კუტუბიძე
საინფორმაციო
თავ-რე თამაზ იმნაიშვილი
ეკოლოგიურ-დემოგრაფიული
თავ-რე ზურაბ რურუა
ახალგაზრდობათა ურთიერთობისა და განათლების
თავ-რე გორა გურგენიძე
საარჩევნო
თავ-რე თემურ ყურაშვილი

არის აზრი....

ქართულ პრესაში ბოლო დროს გამოითქვა აზრი თბილისის განტვირთვაზე, მისი ტერიტორიიდან ზოგიერთი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისა და საწარმოს გატანის მეშვეობით, მინდა შემოვთავაზოთ კიდევ ერთი საშუალება ჩვენი უზომოდ გაზრდილი დედაქალაქის განტვირთვისა. ამისათვის საჭიროა, მომავალში მთავრობის რეზიდენცია გადატანილი იქნას ხაშურში, რომელიც გეოგრაფიულად საქართველოს ცენტრს წარმოადგენს. ევროპაში ამის მაგალითი გვაქვს. ნიდერლანდების დედაქალაქი ამსტერდა მია, ხოლო მთავრობის რეზიდენცია ჰააგაშია.

გოდერძი ტოტორავა

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ბათუმის კომიტეტი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ბათუმის განყოფილება და გაზეთი „კარბჭის“ რედაქცია ულოცავს გაზეთ „რესპუბლიკის“ რედაქციას პირველი ნომრის გამოსვლას, უსურვებს იყოს მისი დევიზის „იყვეთ არავისი და ვმსახურებდეთ არავის, თვინიერ დამზადებლისა“ განუხრელი მატარებელი.

ბათუმის სახალხო ფრონტის ანგარი
უზე ფული გადმორიცხეს:
ქიმიურმა ქარხანამ (5000 მანეთი)
ბავშვთა სამყარომ (2000 მანეთი),
ბათუმისურსათვაჭრობამ (8000 მან.).

კეთილმოსურნეებს შევახსენებთ:
ჩვენი ანგარიშია-საქართველოს შემნახველი ბანკის ბათუმის განყოფილება ანგარიში №1 ბათუმის სახალხო ფრონტი.

რედაქტორი გოდერძი ტოტორავა